

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



# ეს კოდექსი ჩვენს უფლებებს არღვევს



# საია პარლამენტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადახედვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის მოთხოვნით მიმართავს

12 ნოემბერს, საიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადახედვის მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნის მოთხოვნით წერილობით მიმართა.

საქართველო დღემდე იყენებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომლის რეფორმის საკითხი არაერთი წელია დღის წესრიგში დგას. საია ცდილობს სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ხელი შეუწყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციური გამოყენების შეზღუდვას. ამ მიზნით, საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა 6 სარჩელი. ამთგან ერთზე [გადაწყვეტილება](#) უკვე მიღებულია. კერძოდ, საიას წარმოებაში არსებულ საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ  საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეული მუხლები და მათი ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2019 წლის 31 მარტამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მიეცეს შესაძლებლობა, კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოანესრიგოს საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამიჯნა მძიმე სამართალდარღვევები, რაზეც პარლამენტს სათანადო საპროცესო დაცვის გარანტიების გავრცელება დაევალა. საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური რეფორმის საჭიროება.

საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საია მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ჯგუფის მანდატი არ იყოს შეზღუდული მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და მუშაობა წარიმართოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებითი ცვლილებისათვის. საია

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს პერიოდში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს მის მუშაობაში.